დღესა მესამესა, შემდეგ პირუელისა, იყო შეკრებილება მეორე. ჭაბუა ეითარ იტყოდა მასვე: კათოლიკოზი ანტონი ამტკიცებდა მათსა ჰაზრსა. მაშინ მეფემან უბრძანა მეფის-ძეს გიორგისა: რას იტყვ გიორგი, შენ? კელმწიფეო ჩემო, სი-

ტყუა ჩემი, ეითარცა ეხედავ, იქნება მრავალთა თჳს წინა-
ალმდეგი და მაინც გავებედავ შოგაკსენო: მეერთება იმერე-
თისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა: თუ გნებავსთ
უძლეველობა ქუსყენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა:
რა არს უკეთილეს, რა არს მშუსნიერ ეითარცა ერთობა
ძმათა, — იტყჳს წინასწარ-მეტყუსლი დავით. სამეფო ისრა-
ილთა დაეცა მაშინ, როდესაც განსქდა ორად მეფობა
სოლომონისა, დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად
და სამად. — მეფობა განყოფილ არა დაადგრეს, ბრძანებს
მაცხოვარი. სიტყუანი ესენი შოიწონეს შეკრებილთა მსაჯუ-
ლთა. ჭაბუამ ეითარცა ალამალლა ჴმა და მოსთხოვა მდა-
ბლად, რათა თანკმა იქმნეს მეფე ერთობისა ჰაზრისათჳს და
ალასრულოს თხოვა იმერეთისა დესპანთა. მაშინ მეფე ალს-
დგა და ბრძანა: „თხოვასა ამას ვერ მიეიღებ; მტერი მად-
გას კარსა, ვერ გაეიხდი ახალსა მტერსა, რაცა უნდა იყოს
შჳლისშჳლი ჩემი იმერთა ტახტისათჳს განმზადებულ. — დე-
„სპანნო, წარვედით და იმერთსა ერსა გამოუცხადეთ, რომ
ლავსუამ იმერეთისა ტახტზედ შჳლისშჳლსა ჩემსა და ესრე-
თისა კავშირითა თავეთ თჳსით იქმნება ერთობა იმერეთის
ქართლისა თანა„. ესრეთ დაბოლოვდა დესპანობა იმერთ
და ჰაზრი ერთობისა. მასვე წელსა 1790 წარავლინენ ჯარ
ქართუსლთა 4,000 და თანა ჰყუა სარდლად მეუხრანის
ბატონი იოანე, ქიზიყისა მოურავი ზაქარია ანდრონიკაშჳლი,
ჯარდან ეშიკალას ბაში ჩოლაყაშჳლი, ენდრონიკა შჳლი რეკ

[ცოლის-ძმა მეფის-ძისა გიორგისა და მეფის-ძე. იულონ; გარდადგეს მეფე დაეით და განამეფეს სოლომონ მეორე ქუთაისს:

13

ესრეთ დაბოლოვებულსა საქმესა ამას მეუდგა 1790 წ. მხოლოდ დაკავშირებითი ტრაკტატი შორის ქართლისა და კახეთისა, იმერთა და მთიავართა ოდიშისა და გურიისა. აჰა ნამდვილი ესე პიროობაებითი მათ შორის წესდება. [6]

1

ტრახტატი ივერიელთა მეფეთა და მთიავართაგან დამტკიცებული შრთელისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აწერილი სამეუფოსა ქალაქსა თჳსსა 1790 წ. ვინაადგან ყოველთაევ იბერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, ოდიშისა და გურიისათა აქუსთ ერთ მართწმუნეობა, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქუსთ მაესხელობითიცა სიყუარული ვითარცა სისხლით ნათესაეთა

და მოყურობით შეკრულთა ურთი ერთა შორის„.

„ამისათვს ჩუენ ზემოხსნებულად ქუსყანათა იეერიისა და მეფენი და მთავარნი და მამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პიროობისა სახელითა ყოველად ძლიერისა ღუთისათა, აღესთქუამთ მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თვთოეულად შემდგომთა შინა ჰაზრთა ცხად იქმნების.„

„უფლისა იესო ქრისტეს მონა მეფე ქართლისა, კახეთისა და სხუათა ირაკლი მეორე ქრისტიანებრითა თანამდებობითა გარ წმუნებთ ყოველისა საიმერეთოსა მეფესა შვლის შვლსა ჩემსა სოლომონს და მთავარსა ოდიშისა და სხუათ სამთავროთა დადიანს გრიგოლს და მთავარსა გურიისას სვმეონს და ერთობით თავადთა, აზნაურთა და ერთა ქუსმოჯსა იეერიისა ესრეთ;

მუხლი პირუსლი.

„შეერაცხო ყოველი მტერი თქუსნი მტერად ჩემდა და ყოვლისა საშეფოჯსა ჩემისა; და ეიყო მტერი მტერისა თქუსნისა და მოყუარე მოყურისა.

მუხლი მეორე.

„მაქუნდეს ზრუნუა დამმკვდებისათვს ქუსყანისა; და ყოელისა შეძლებისა ჩემისამებრ ეიყო მემწე თქუსდა წინააღმდგომად მტერთა თქუსნთა?

მუხლი მესამე.

„ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქუსნისათვს და დაცუად ძეთა იმერეთისათა, ეითარცა მამა საზოგადო მათი.„

მუხლი მეოთხე.

»უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქუენ ზედ დიდი ანუ მცირე, მკედრობითა ჩემითა ანუ სხუათა ძალითა, სიტყვთა და საქმითა შეძლებისა ჩემისაებრ მზა ვიყო შემწედ თქუენდა.

მუხლი მეხუთე.

»უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი, ვითარცა მაქუნდეს შეკრულება, ვიყო მწადნელი თქუენდაცა უბედნიერესსა შინა მდგომარეობასა მოყუანებად მფარუელობითა ერთბამად ერთისა უაღესუსტისისა კარისათა.

მუხლი მეექუსე.

ალთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკრი თანამდებობითა თჳთ ძეთა ჩემთა, თავადთა საქართუელოსათა და საზოგადოდ ერთა ჰსჯულ-ეუდებ საუკუნოდ ერთგუამად შეერთებასა ამა ქუეყანასა იერიისათანა და ვამცრებ ყოველთაევ რათა მტკიცედ ეგნენ ზემო აღწერილთა ალთქმათა შინა, ვითარცა ჰსჯულთა ზედ ეკლესიურთა, იყაენ ესრეთ. ეიცი ვითარია თანამდებობა ჩემი და ეჰგიე მტკიცედ კელ-მოწერისა ამის ჩემისაებრ.

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხუათა ერეკლე.

დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხუათა დარეჯან.

საქართუელოს კათოლიკოზი ანტონი.

»ეიცე კანცლერი სოლომონ ლიონიძე». [7]

2

ტრაქტატი მეორე ნაცვლად პირველისა.

უფლისა იესო ქრისტეს მონა, მეფე ყოველისა საიმერეთოსა, შვლის-შვლი თქვენი სოლომონ, ქრისტიანებრითა ალთქმითა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვათასა, მეორისა ირაკლის, უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, თავადთა, კეთილ-შობილთა და ერთა ზემოჴსა იეერიისათა ესრეთ:

მუხლი პირველი.

შეერაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოველისა სამეფოჴსა ჩემისა და ყოველი მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

მეხლი მეორე.

მაქვნდეს ყოველივე შეძლება ჩემი დაუზოგავად დამმკვიდებისათვს ქვეყანისა თქვენისა და ვიყო მზა ნიადაგ წინააღმდგომად მტერთა თქვენთა,

მუხლი მესამე.

„ვიყო მწადრნელი ბედნიერებისა თქვენისათვს და უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, ვითარცა თანამდები მეფე დისაწული მათი„.

მუხლი მეოთხე.

„უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქვენ ზედა დიდი ანუ

მცირე, მკედრობითა ჩემითა ანუ სხვთა ძალითა, სიტყვთ
და საქმით შეძლებისა ჩემისა მებრ მზა ვიყო შემწედ
თქუენ.

მუხლი მეხუთე.

„უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა
უმაღლესისა კარისადმი, ვითარცა აქუნდეს უმაღლესობასა
თქუენსა შეკრულება, ვიყოთ თქუენთანა მჭონებელი, თან-
ხმობისა უბედნიერესისა მდგომარეობისა ჩუენისათჳს, მფარ-
ველობითა ერთბამად ერთისა უაეგუსტესისა კარისათა.„

მუხლი მეექუსე.

ალთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრივთა შეეიკრი
თანამდებობითა თჳთ თავადთა ყოველისა იმერეთისათა, კეთილ-
შობილთა და საზოგადოთა ერთა ჰსჯულოუდებ საუკუნოდ
ერთგულებად შეერთებასა ამას ზემოჯსა ივერიისათანა და
ვამცნებ, რათა მტკიცედ ეგნენ ზემო აღწერილთა ალთქმათა
შინა, ვითარცა ჰსჯულთა ზედა ეკლესიურთა, იყავ ესრეთ.
ეიცი ვითარია თანამდებობა ჩემი, და ეჰგიე მტკიცედ კელ-
მოწერისა ამის ჩემისაებრ.

მეფე ყოველისა საიმერეთოჯსა სოლომონ.

დედოფალი ყოველისა საიმერეთოჯსა სოლომონ.

დედოფალი ყოველისა საიმერეთოჯსა მარიამ.

ვიცე კანცლერი სოლომონ ლიონიძე.

3

ტრანსპორტი მესამე ნაცულად პირველისა.

უფლისა იესო ქრისტეს მონა' მე მთავარი ოდიშისა და სხვათა სამთავროთა დადიანი გრიგოლ, ქრისტიანებრივთა ალთქმითა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვათასა მეორესა ირაკლის, უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, თავადთა, კეთილ-შობილთა და ერთა ზემოჲსა ივერიისათა ესრეთ:

მუხლი პირველი.

შეერაცხო ყოველსა მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოველისა სამთავროჲსა ჩემისა და ეყო მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

მუხლი მეორე.

მაქვნდეს ყოველივე შეძლება ჩემი დაუზოგავად დამშვდებისათჳს ქვეყანისა თქვენისა და ვიყო ნიდაგ მზა წინაალმდგომად მტერთა თქვენთა.

მუხლი მესამე.

ეიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათჳს და ძეთა თქვენთა, ეითარ ნათესაობით თანამდები უგანათლებულესობათა მათთა.

მუხლი მეოთხე.

უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქუენ ზედა დიდი ანუ მცირე მხედრობითა ჩემითა ანუ სჯულთა ძალითა, სიტყვთ და საქმით მეძლებისა ჩემისა ებრ შეავიყო ჩემწედ თქუენ-ნდა.

მუხლი მეხუთე.

უზენაესისა მიმართ მფარუელობისა უმაღლესისა საიმპერატოროსა კარისადმი, ეითარიცა აქუნდეს მეკრულება უმაღლესობასა თქუენსა, ეიყო თქუენთანა მქონებელი თანკმოგბისა მფარუელობათა თქუენთანა ერთბამად ერთის უაელუსტესისა კარისათა.

მუხლი მეექუსე.

ალთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტეანებრითა შეეიკერი თანამდებობითა თჯთ სახლის წულთა ჩემთა და თავადთა სამთავროჯსა ჩემისათა, კეთილ შობილთა და ერთა ჰსჯულეუდედ საუკუნოდ ერთ გუამად შეერთებასა ზემოჯსა ეევრიისათანა და ეამცნებ, რათა მტკიცედ ეგნენ ზემო აღწერილთა ალთქმათა შინა, ეითარცა ჰსჯულთა ზედა ეკლესიურთა. იყაენ ესრეთ, ეიცი ეითარია თანამდებობა ჩემი და ჰეგეე მტკიცედ კელ-მოწერისა ამის ჩემისაებრ.

4

ტრახტატი მეოთხე ნაცულად პირველისა.

მე მთავარი გურიისა სჯმეონ ქრისტეანებრითა ალთქმითა გრწმენებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვათასა მეორესა ირაკლის, უგანათლებულესთა ძეთა თქუენთა, თაკადთა, კეთილმოობილთა და ერთა ზემოჴსა იმერისათა ესრეთ.

მუხლი პირველი.

შეერაცხო ყოველი მტერი თქუენი მტერად ჩემდა და ქუეყანისა ჩემისა და ეიყო მტერი მტერისა თქუენისა და მოყუარე მოყურისა.

მუხლი მეორე.

„მაქუნდეს ყოველიეე შეძლება ჩემი დაუზოგაად სახმარ-ყოფისათუს სამეფოსა თქუენისათა ეიყო ნიადაგ ზრა წინა-ალმდგომად მტერთა თქუენთა„.

მუხლი მესამე

„ეიყო მწადნელი ბედნიერებისა თქუენისათუს და ძეთა თქუენთა, ეითარ ნათესაობით, თანამდები უგანათლებულე-სობათა მათთა.„

მული მეოთხე.

„უკეთუ ალდგეს მტერი ეინმე თქუენზედა დიდი ანუ მცირე მკედრობითა ჩემითა ანუ სხვთა ძალითა ჩემითა, სიტყ-

ვთ და საქმით შეძლებისა ჩემისაებრ მზა ვიყო საკმარად თქ-
ფენდა.

მუხლი მეხუთე.

„უზენაესისა მიმართ მფარველობისა უმაღლესისა საიმპე-
რატოროსა კარისადმი, სადაცა და ვითარცა აქუნდეს შეკრუ-
ლება უმაღლესობასა. თქუენსა, ვიყო თუენთანა მქონებელი
თანა კმობისა უბედნიერესისა მდგომარეობისა ჩემისათვს მფა-
რველობითა თქუენთა ერთბამად ერთისა უაღლესტესისა
კარისათა.

მუხლი მეექუსე.

„ალთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტეანებრითა შეეეკერი
თანამდებობითათვს სახლისწულათა ჩემთა, თავადთა, აზნაურთა
და ერთა საშთაეროჲსა ჩემისათა, ჰსჯულ ეუდებ საუკუნოდ
ერთგულამად შეერთებასა ამას ზემოჲსა იეერიისათანა და ეამ-
ცნებ, რათა მტკიცედ ეგნენ ზემოალწერილთა ალთქმათა შინა,
ვითარცა ჰსჯულთაზედა ეკლესიურთა. იყავენ ესრეთ. ეიცი
ვითარია თანამდებობა ჩემი და ეჰგიე მტკიცედ კელმოწერისა
ამის ჩემისაებრ„.

ოთხად დაწერილნი პირობაები ესენი, კელმოწერილი
და ბეჭედ ხმულნი მეფეთა და მთავართაგან, მლუდელთ მთავარ-
თა და მოხელეთაგან, განცხადღენ ყოველთაგან. — კოპიონი
მათნი წარუველინეს იმპერატრიცასაცა ეკატერინა ბეორესა.
თვთ სოლომონ ლიონიძე მისული კართა ზედა ივერთა
მეფისა და მთავართა დადიანისა გრიგორისა და გურიელისა

სჯმონისა, მრავალად დაშტრა, რათა მოეყუანა ერთობასა მტკიცესა ერთ ნათესაობა ქართველთა. მეცადინებდა შინა კავშირითა, გაეუქმებინა გარე კავშირი. ერი, დაცული გარეთითა უცხოთა ნათესავთაგან მფარველობითა, არის მარადის დაშდაბლებული. ერი სხვათა მფლობელობასა ქუშმე შესული, არის მონა და მონა მზაკუარი, დაცინებული; მასხარად აგდებული, ვითარცა დამკარგველი თჳთ მყოფობისა, ჰკარგავს სულისათჳსისა საკუთარსა ძალსა და ღირსებასა. უძლური სულითა ჰკარგავს სხეულისაცა ძალასა: ენა და მეტყველება მისი, მწერლობა და მწიგნობრობა მოეღება დამონებულსა უცხოჲსა ნათესავისა ენითა და ჩუსულებითა.

ოთხასითა წლითა გამტკიცებულნი კერძოობითსა უფლებასაზედა სამთავრონი, მოისმენდნენ ლიონიძისა სიტყუათა ერთობისათჳს. გარნა სადაღა იყო ძალი დამაკავშირებელი მათი? ოდეს მეფემან ირაკლი მეორემან დაჰკარგა ერთ მეფობისა იმერთა ერისა თხოვა, დაკარგაცა ძალი კავშირისა. კმა ლიონიძისა იყო კმა ღალადებისა უდაბნოსა, ენითა ცემა ჰაერისა და ამაო ბგერა ბაგეთა. იხილა ესე ლიონიძემან ადრეეე და შორს მხედველმან ეერღა ჰპოვა ლონე სხვა დაცჳსათჳს მეფობისა, რომლისათჳსცა, გამიგონია მამისა ჩემისაგან, იტანჯებოდა იგი. — ესეეე იყო მიზეზი, რომელ შემდგომად მეფისა გიორგისა, წარვიდა იმერეთსა და მუნით სპარსეთსა და მოკუდაცა მუნ დამტირებელი

ქუსყანისა და მრავლად დატირებული სომეხთა კათოლიკოზისა ეფრემისაგან, რომელთანაცა ჰსცხოვრებდა რამდენსამე დროს. სიკუდილი მისი იყო ეგონებ, 1810 წელსა, ანუ მცირედ შემდეგ.

14

მეფის ძე გიორგი, დროთაგან ყმაწვლობისა, 40 წლამდე ცხოვრებისა თვსისა, იყო ტანით წურილი, მაღალი და ბრგე. 1785 წლიდამ შეეიდა სიმსუქნეში, ვანსქელდა დიდად და თუმცა ესრეთმა სიმსუქნემან უფრო ახოვან ჰყო იგი, გარნა ეერლა ჯდებოდა ცხენსა თავისუფლად და ეერცა იქმნებოდა მარდი, ვითარცა იყო პირველ. შემდეგ შეეჩვა შინა ყოფნასა, და მოთხოვილებისა გამო დიდისა გუამისა, მიილებდა სანოვაგესა მრავლად და მადიანად მარადის. ჩუსულებასა ამას შეუდგა მდიდრად სადილისა მზადება და ხანგრძლივ მირთმეა სადილისა მეჯლიშისა წესითა. პური სადილისა მისთვს იყო გამტკიცული თეთრი და ყოველ დღე ცხუსებოდა სახაბაზოსა. ბრძანებისა-ებრ მისისა აქუნდათ ნება ყოველთა ქალაქისა მცხოვრებთა მხოლოდ სნეულთათვს და ავათ-მყოფთა წარელოთ პური სახლად თვსად, ყოველ დღე ხსნილისა დღეთა, მცნებისა ებრ მართლ-მადიდებელისა ეკ-

ლესიისა, იკუნლოდა ძროხა, ფლოვი ქათმითა და ხირიმკი-
თა შემზადებული, მიერთმოდა ყოველ-დღე; ეგრეთუს შემ-
წუარი და აფხაზური. დიდათ უყუარდა ზაქი წლეული ანუ
უფრო მოდიდო, სილბილისა, სითეთრისა, გემოვნებისათვს
მისის კორცისა; უმეცარნი და მემურნენი და მტერნი მისნი
ჩუმნი დაფარულნი ეცინოდნენ მას ამისათვს და იტყოდნენ
იცრუით: „მრთელსა ზაქსა ჰსჭამსო „ წესისამებრ სადილო-
ბისა ძველისა და ახლისა. პირუსლ მეფეს მიერთმეოდა
ყერძი და რადგანაც ზაქისა და საუკეთოესა საჭმლისა ნაჭე-
რნი მიერთმეოდნენ მას მრავალად, აქედამ მედგა ცილის-
წამებაცა. მრთელსა ზაქსა შეჰსჭამდაო. აქუნდა მას ჩუსუ-
ლება ეითარცა დადიანისა კარზედაც მინახავს, რომელ მიი-
ღებდა ნაჭერსა დიდსა თვთ, და სხუათა თვთვე დასახელე-
ბითა სტუმართა, უბოძებდა, ნიშნად პატივის ცემისა და
სიყუარულისა. ნაცულად ხბოჯსა მიერთმეედა ზაქისა წლე-
ულისა ანუ მეტისა კორცსა. ზაქისა კორცი არის დიდად
ლბილი, ფრიად გემოვანი და ფერით დიდად თეთრი, მრა-
ველით უკეთესი კბოს კორცისა.

ღვნო უყუარდა წითელი და აქუნდა უკლებელი ხოდა-
ბნური და ყუარული, რომელსაცა ცალკედ დიდად განმწმე-
დილსა ქუსერმი მეამზადებდენ საწელიწლოდ კარისათვს
მეფისა. თვთ მიერთმეედა არა უმეტეს ერთისა ჩარექისა
ანუ თუნგისა მეოთხედისა. დათრობა მას ჰსძაგდა ეითარცა
სიბილწე, და ხუმრობით და სიცილით დაუწუნებდა სადილსა

ბისა მეინახეთა, უკეთუ ვინმე გაურეედა წყალსა და წყალ-
სმულსა დალეედა ღვინოსა: გაიგონე რა გიამბო, იტყოდა
განგრძელებულისა კვისა კილოთი: „თუ გინდა ღვინო წყლი-
ანი, მდაბალი ჰსვ ღვინოო, ყარგი ღვინო არ უნდა წახდეს
წყლისა შერეევითა, არაყი არა იყო ჯერეთ დიდსა ხმარებაში,
გარნა ურჩეედა არა ჰსუან ვითარცა მაწყინებელი აგებულე-
ბისა და არცა სასარგებლო, თუმცა მტკბარი თაფლითა,
მერაბისა მირთმევისა დროს, — ქართუსლთა ჩუსულებისა
წესითა. ორაგული უყუარდა დიდად და ჰსწყინდა მარადის.
მკურნალნიცა აყენებდენ ორაგულისა მირთმეეისაგან და არა
ერთგზის განჰკურნესცა წყინებისაგან ორაგულისა, აქაცა
შეკცეეისათვს და ხუმროებითა წარმოიტყოდა სიტყუასა:
ოთახისათვს დარბაზი ვის დაუქცეეიაო?

სადილი მისი არ იქმნებოდა თვნიერ მღუდლისა, რომე-
ლიცა მარადის მამაო ჩუსნოსა თქმითა, აკურთხეედა დაგე-
ბულსა სუფრასა, და რადგან იცოდა მცირედ ბერძულიცა,
ამისათვს ხშირად თვთ იტყოდა ბერძულად „მამაო ჩუსნოსა„
და აკურთხებინებდა სუფრასა მდუდელსა. ჩუსულებრივ
ბინახენი სადილისა მისისა, იქმნებოდენ ოცი და ოცდა
ხუთამდე კაცი ღღე ყოველ.

დიდოსა ლეკნი თთუს ყოველ მაისიდამ და კვალად
ზამთრადმდე მოჰგურიდენ თვსთა ცხუართა და თოხლთა,
ვითარცა გემოვანთა დიდად და მრავლით უგემრიელესთა
ხუთა მთათა ზედა ნაკუსბთა ცხოკართა. მეფე დასაჩუქრე-

ბდა მათ ცხენრებითაევ სამეულად; უბოძებდა სამოსთა მათ და ცოლთა მათთათვს. ოდესმე ზაფხულსა მოსძებნიდენ მეფე'ა ლილოზედ, ოდესმე ქუსმო ავჭალასა, სადაც ხშირად განატარებდა სახლობით ზაფხულსა თთუსთა. აქა ჰქონდა სადგურად გურამიშვლის ზაალის სახლი ციხე გალაენიანი მტკვრის პირსა ნაშენი. სირყმითგანვე არ უყუარდა ნადირობა. მონადირეთა დიდ კაცთა უწოდებდა „კაცთა უსაქმოთა, მოცლილთა„. — დევნა მხეცთა და პირუტყუთა შეაჩვევს მტროობასა და მესისხლეობას, განამოარეს გულსაო. შვლთაცა თვსთა არ ურჩევდა ნადირობისა შეჩუსვასა, და მრთლად არცა ერთი მათგანი, რომელთაცა მე ვიცნობდი არ ეყუნენ მონადირენი, გარდა მეფის ძის ილიასი და ესეცა შეჰსჩუოდა ნადირობასა რუსეთში. არ უყუარდა ჯირითობაცა, რომელსაცა უწოდებდა საგანსაცდელოსა რასამე, დ ამისთვს მკდალად ჰკადოდენ მემალულნი მეტოქნი მისნი.

დილითა, შემდგომ ცისკრისა დღე ყოველ მოსმენისა მიირთმეედა ჩაისა ილით და დარიჩინით მოდულებულსა; ჩინეთისა ჩაისა, რომელიცა მოერთმეოდა რუსეთიდამ, მიიღებდნენ სნეულებისა დროსა სამკურნალოდ და იშვათად. ყავა, თურქთა წესითა, სტუმართათვს იხმარებოდა ხშირად.

შაქარი დროთა ამათ იხმარებოდა ყანდისა რომელიცა მოაქუნდათ ეაჭართა სპარსეთიდამ და მისირიიდამ. — ევროპიისა შაქარსა იშვათად მოიტანდნენ, რადგან უძვრეს სპარსულისა იყიდებოდა. ესრეთი ევროპიისა მიქარი, შემოეიდოდა

საჭროდ ახალციხისა გზით, ეგრეთეს ყავა და თამბაქო, ფალათინისა ტყავები, საპონი მარანდული (ზეთისა) და სხვანი ეგ ეითარნი.

15

მეფემან ქართლისა თეიმურაზ მეორემან, ჯერეთ შვდის წლისა მეფო ძისა გიორგის, მვლის შვლსა თვსსა 23 აპრილსა ღლისათვს ე. ი. საბელ წოდებისა მისისა, ბრძანა მოსვლადონ დროშა საუფლის-წულო, მისისაეე ბრძანებითა ეფილეს ყვთელი ატლასი და მასზედ მოქსოვეს ხატი მეტეხთა ღვთის მშობლისა ფერადებითა და ყილიტითა. მომქსოვი ესი იყო ამირეჯიბისა როინისა ასული და ქეჩრიეი როსტომ ეფეშვლისა ანასტასია, რომელიცა ახლდა დედოფალსა ანანუმს თეიმურაზ მეფისა მეუღლესა და არღა შორდებოდა მეფისა სასახლესა, და რომელიცა იყო საყვარელი ეს დახლოებული დედოფლისა თამარისა, პირველისა ცოლისა თვთ თეიმურაზ მეფისა.

კათოლიკოზმან ანტონი უკურთხა ღროშა ესე და მიარბინა მეფის ძესა მეტეხისა ეკკლესიასა შინა, პარაკლისისა ალდგენითა. ღღესა ამას იყო დიდი პატიჟობა სტუმართა ეფლისა პალატებში ქალთა და კაცთა. ამასვე ღღეს ალსა-

ზრდელად მეფის ძისა, შესწირეს მეტეხისა ეკლესიასა, ვითარცა კარისა ძუსლად საყდარსა და კათოლიკოზისა მეტოქსა, ძვრფასი ბარძიმ ფეშხუმი, რომელიცა დაიკარგა 1795 წ. სამი კომლი კაცი და ერთი კელი შესამოსელი, და მიუბოძეს წინა-მძღუართა მისთა ოქმი შეწირულობისა.

კატი ესე ძუსლი თვთ ნამდვლ დაიკარგა თბილისისა ალებისა დღესა 1765 წელსა სპარსთაგან; ხოლო დროშა დღესაცა არის სახლსა შინა ჩემსა დაცული. ბუშტი ვერცხლისა და თვთ ძელი, რომელზედაცა იყო დამყარებული სახე ლუთის მშობლისა განაქარეს მამან ჩემმან; 1830 წელსა შიმისათვს რუსთა მთავროობისა: ეშინოდა არა ჰკითხონ რად გაქუს დროშა ესეო. ძმაცა მამისა ჩემისა, მარადის შეფოთისა ჟამსა აშინებდა და ეტყოდა: ორგულობისათვს რუსეთისა გაქუს დროშა ეგეო.

მაშინ შეშინებულმან დასწეს ხე, რომელზედაცა იყო გმული თვთ ხატი. ხისა ამისა თავზეთ ნაკეთ ვერცხლისა ბუშტი გაყიდა და ფასითა ამით უქმნა კიოტი ფიცრისა დაუკეცა დროშასა ამას სამ-სხიეად გრძელნი ფრთეები და ჩასდეს კიოტსა შინა მინითა დაფარულნი; და დაისუსტენა თაყუანის საცემლად სახლსა შინა თვსსა. ამა დროამდე დროშა ესე იყო ბუდეში ჩადებული, და კრძალვდა კარის წმიდა გიორგის ეკლესიასა შინა დღითგან მეფის გარდაცუალებისა.

ხატისა ამის კოპიოსა ანუ პირისაგან ჰსჩანს, რომელ თვთ

ნამდვილი იყო შემზადებული დომენტი კათოლიკოზისაგან, ამისთვს რომელ, ქუს ხატისა ღუთისა-დედისა ხატთა თვთ დომენტი მუხლთ-მოდრეკით და კელთა-გაპყრობითა ღუთისა დედისადმი მვედრებელი.

[ზოგი შემდეგში იქნება].

რ ა მ დ ა მ ა ლ ო ნ ა?

[ეუძღვნი ალექსანდრე ჩარექოვს]

რომ მეუბნები: რამ დამალონა,
რისთვს ეოხრავ, რათ მიტანჯვის გული?
მისთვს რომ ყველას გაუხდი მონა,
რადგანც არა მაქუს მე ბევრი ფული!

რომ მეუბნები: რამ დამაფიქრა,
რათ მძულს მე მამა-პაპური ლხინი?

მისთვს, რომ ყველამ მუსტი მილერა,
რომე არა მაქუს, რა ექნა, მე ჩინი!

რომ მეუბნები: მძულს აშიკობა,
არ მიყუარს ქალთან ტრფობით თავაზი?
მისთვს, შემრისხეს რომ ქალთ ერთობა,
რადგანც არა ვარ თვალათ ლამაზი!

რომ მეუბნები: რათ ვერიდები,
რატომ არ ველტვი მე მეგობრობას?
ძმაე, რა მიველტო, ან მენ რათ სცდები,
რომ ყველგან ეხედავთ, სიშურეს, მტრობას!

ფულსა, ხარისხსა და სილამაზეს
უშოვნია ძმაე, პატივ-დიდება.
ეს ორი ჰპოვო, ნუ გეგონება,
თუ არის შენში, — პატიოსნება!

ალექსანდრე აკოფოვი,

ქ. ქუთაისს.

საყდრის ახლოს თარის დაკვრა.

ამ სახით აბდულ ალია, კარ გალებულში შეეარდა ისარი-ვით ხმალ მოწვდილი, სიბლის დასალვრელად წინააღმდეგთა თვსთა, გარნა მიმოაქცია რა მგლური თვალნი ყველგან, გაიხარხარა, რა ნახა იქ იმისი მებრძოლე არაევინ იყო, გარდა ერთის საწყალის შიშით აკანკალებულის დედაკაცისა და ერთის ბრმის ყმაწვლის ბიჭისა, ამისთვს მყისვე დააცხრეო გულის წყრომა თვსი, მკვეთრ მოელვარე კმალი ქარქაშშიე მიაქცია, გაიარ-გამოიარა ბუტბუტითა ამით, რათ მინდა წინა-აღმდეგობა ამ საწყლებზე ამ განმარტოებულს ალაგს და ამისთანა დროს, რადგან ამათ მხსნელი არაევინა ჰყავთ, სჯობს თავიანთ ნებით მოვათელვევინო ყველა, ჩახედა თვალებში და უთხრა მალხაზას: შენ ბრმა ხარ? სულ ვერა ხედავ?

ვერაფერსა! უთხრა მალხაზამ.

ამ დროს წამოიძახა აბდულამ ჩქარა! ჩემს ცხენს შესცივა, შემოვიყვანოთ.

მიუგო მალხაზამ, აქ საყდარია, მანდ სახლში შევიყვანოთ;

ნადიერსან ჰეი? დაუყვირა ობდულამ, ჩემი ცხენი თქუენცა გგონიათ, მე ჩითსაცა და ჩემს თავსაც მირჩევნია! ჰა! მერე რა ცხენია და! წმინდა არაბია, მისირიდამ მამიტაცნია, მგონია იმისი პატრონი ეხლაცა გლოვობს.

მალხაზამ და მართამ პირველშივე შეატყეს და ახლა მართლად დარწმუნდნენ რომ, იმათ შემოეტყუათ თათარი ამყლებ ამამწყვეტელი, თუმცა შიშმა მრთელის სხეულით აათრთოლა მაგრამ, უთხრა მალხაზამ გაბედეით, რომ იქ საჯავრელი არა არის რა, ჯერ გაიგოს საქმე. ის სახლი სჯობია ამასა ეიკარ წინ არის, იქ თიეაცა მაქუს შენახული შენისთანა საბატიო სტუმრისათვს.

ბარაქილა ოღლი? მართლა თიეა გაქუს! ყოჩალ! ეგ სასიამოვნოა!

დასძინა მალხაზამ, იქვე ქერიცა.

ინშალლა!! წამოიძახა თათარმა. სიხარულით აღტაცებულმა, ამ ალაგს ამ დროს თიეა და ქერი! არ მეგონა ალლახის მადლმა, მამ ჩემ დაღალულ ცხენსა კაი ეახმამი ექნება, ამისთვს ეშულო მადრიელი ეარ, აბა მიჩუენეთ ის რა ალაგია, ჩემი ცხენი ლირსია პატიეისა, სამოცი ეერსი სამ საათზე მამაფრინა, ისეთი ჭკეიანია! ისეთი მშვდია! რომ პატარა ღლაპი მოიხმარებს.

რადგან მართას შიშით თითქმის სული უგუბდებოდა, ხმა გაკმენდილი კუთხეში ქუაზე იჯდა და ელოდა ალსასრულსა თვსსა, ამისთვს მალხაზა ჯოხის რაბა-რუხით, გაუ-

ძლუა აბდულ ალიას და უჩუსნა კარის ახლო ალაგე ცხენისა? თიეა და ქერი, აბდულამ ცხენი მიაბა ისე უნაგირიანი ლაგმით, რადგან დალალულის ცხენის ჩუსულებრიეს კანონი იცუაედა, სთქუა მან ჯერ ასე იყოს, დაისვენოს, დალალულმა, მერე წყალს დაეალეეინებ, მივსცემ თიეასა და ქერსა.

შემობრუნდნენ რა, აბდულამ ჰკრა ხელი საყდრის კარებსა, ცალი ხელით სამთელი და მეორეთი მალხაზას მკლავი დაუჭირა, შეეიდა, მიიხედ მოიხედა და უთხრა: ამ საყდარში სიმდიდრე ხომ იპოება ფულითა, თუ ნივთითა?

არაფერი უთხრა მალხაზამა, კეირაში ერთხელ ზიდეენ ზემო ეკლესიაში რაც მოდის, იქ ბეერია განა! ფული დ ეერცხლეულნი? უთხრა აბდულამ, ყეელა მითხარი აქედამ მორს ხომ არ არის.

რასაკერელია იქ ბეერია ქონება, გზაც იქამდინ სამი ეერსი მეტია, მლუდელიც იმაეე საყდრის გეერდითა სდგას.

გაიარ-გამოიარა აბდულამ ბუტბუტითა და თავის ქნეითა, მერმე მოუბრუნდა მალხაზას, მაინც აქ ხომ ბეერი გექნებათ შენახული ფული და ეერცხლეულნი.

არა გუაქუს რა, ძალიან ცოტა ფულის მეტი იგიცა საწირაეია მლუდლისა.

როგორ ცოტაა!! მენ ეი ბრმაე? თუ ეერა მხედამ რა კაცი ვარ, აი ასე იცოდე, ჩემი ხმალი ისე ჰკეეცამს რკინასა, როგორც დუთმასა, გაიგონე? მაგრამ ეს შენზე სახმარათ ჩეენ განრა საკადრისია, როდესაც აიმ გამომეერილის ხის თავზ

ჩამოგარჩობთ შენდა ამ ბებერსა, მანამდისინ გეუბნებიო, თქუენ ნებით ყოველივე გა მოაჩინეთ.

მალხაზამ შიშით სულ შეგუბებულმა, ყოყმობით უთხრა, რაცა რომა გუქუს....

აბდულამ გააწყვეტინა და დაუყვირა, სტყუი, აქ ბევრი უნდა იყოს, მოიტანეთ ჩქარა, ნუ აგვანებთ, თორემ სიცოცხლეს მინუტს გაგიქრობთ, — ამ სიტყუაზე გავიდა გარეთ; მიხედამოხედა აქეთიქითა და ჰაერსა.

მალხაზამ მწარედ ამოიკვნესა რა, წარმოსთქუა: რა კი წარმტაცებელია საბატრო კაცი იყოს თუნდ ავაზაკი სულ ერთია, რაქენა! მართალ, რომ არ დავიხოცნეთ, ჩუენს სახსრად მიეცი ის ჩემი ფული, მართამ ამოიღო ისე ქაღალდში გახვეული, აბდულას მისცა და უთხრა მალხაზამ: ღმერთია მოწამე, ეგ ფული ჩემი საკუთრება არის, გაძლევ ერთობ მშვდობისთვს.

გამოართუა აბდულამ პირქუშად გალიმებულმა, ჰოო! ეს რუსული ფულის ასიგნაციაა! სულ რასა იქმს ჰა! შვდ თუმანსა, ორ მანათსა და ორ აბაზსა! მაგრამ ჯერ სადა ხართ, თქუენ ბევრი გექნებათ, ძალიან მიყუარს ამისთანა ასიგნაცია, მე გეუბნეეთ, გამოაჩინეთ და საყდრისაც ყველა მამითუალეთ, თორემ თქუენს თავებს მტუარს გალმა გავსტყორცნი, მაგრამ ჯერ ეს მითხარით, გაქუსთ. რამე საჭმელი? მეტის მეტად მეჩქარება, მშიან მოიტანეთ ჩქარა რაცა გაქუსთ, შიმშილით ლიმის ბავგიჟდე დამან მოიკეცა ძირს დაგებულს ხალიჩაზედ ცეცხლიანს მაყალთან, მართამ შიშით აკანკალებულმა საჩროთ მოურბე-

ინა. აბდულას პური, ყველი, ძროხის ხორცი და ორი ბოთლი ღვინო. აბდულამ გალიმებულმა წარმოსთქვა: ინშალლა! მე და ჩემს ცხენს მოულოდნელი ეახშამი დაგვხდა, ის მიეარდა მგელივით და საქაროთ შთანთქა. სამი შაურისა ფურნის პური, ყველი, ხორცი და ღვინო, მაგრამ ამ ორმა ბოთლმა კარგმა კახურმა დალალულისა და მშიერისა თათრის გულს მოახვედრა, აფარდა ტვინში და შესცუალა მრთლად (მდგომარეობისაგან) გაუწითლდა სახე. ჩამოისვა ხელი შეღებილ გრუზა წვერზე, იწყო ხელების შლით რაღაც ოცნებით ბორგვნა, მერმე გარკვევით წარმოსთქვა: ვაი, ორი კვირაა ჩემი პატარა ლამაზი ქიჩკინე ალარ მინახამს, განიერი ალიმის საშალვრე უნდა უყიდო ვინ იცის, ის წყეული თავისი დაჯრა რიგად ეპურობა, ძველა სჩაგრავს, უნდა გავიდო, უთუოთ გავაგდო.

ვინა? ჰკითხა მალხაზამ.

ჩემი პირველი ცოლი, ის სატანა!

ჰკითხა მალხაზამ: რა დანაშაულზე?

აი ამაზე რომ, თექვსმეტი წლის წინ. როცა მეორეთ პირველ ცოლად საქებური დედაკაცი იყო და ორი ეაჟიც ეყოლნენ, შემდგომ რა რომ მოტაცებით მოვიყვანე მეორე ცოლად იმისი პატარა დაჯ ქიჩკინე. მაშინ გამოიჩინა იმ პირველმა ემმაკმა ანჩხლობა, ყბედობა, მე მიყვარს მეტის მეტად ლამაზი ქიჩკინე, რომ რასმე უყიდი, ან პატივს მივსცემ, ის მრთლად გადირევა, იქაურობას მილეწ-მოლეწს,

რამდენჯერაც ესცემე და დაუპირე გაგდება, შვლებმა შეენეს ლრიალი, თან მისდევდნენ, არ გაუშვეს და ამ მიზეზით რჩება აე ყბედი შინა.

როგორ გააგდებ მაგდენის ხნის მოამაგე ცოლსა შვლებიანსა, თქვენში ცოდვათ არ არის?

რათა არის ცოდო, ცოტას მიეცემთ რასმე, მოლასთან კაშვების წიგნს დაუწერთ და წაეა თავისთვს.

ეგ საშინელებაა! წარმოსთქვა მალხაზამ.

უთხრა აბდულამ, მაშ არა, თქვენსაეით თავს დაეიჭლეკებთ, თქვენში რა გინდ საბატიო კაცი იყოს და შეხვდეს ერთი საძაგელი დედაკაცი, ფიქი, ყბედი, და ყოველდ ყველამი საძაგელი, სიკუდილამდინ უნდა იტანჯოს იმის ყურებით, შიმით ხმას ვერ გასცემენ გაუწყრება როგორც დედოფალი იმასვე შეიხვეწებს, თუ გააგდებს, მამინ ყველანი დაცინვს სახით თუალებს დააჭყეტენ და სასტიკს კანონებს წინ დაუდებენ,მაგრამ ამას თავი დაეანებოთ, შენ ამული ხარ?

არა! მიუგო მალხაზამ.

მამ რა არის ეს კედელზე მიყუდებული თარი, წელან არ უკრამდი და მღერობდი, განა საყდრის ახლო ბეჭემი უყერენ მღერიან?

მიუგო მალხაზამ, ჰო! მე ეხლა ესწავლობ დაკურასა.

მესმის, უთხრა აბდულამ, შენ შეთქმული გექნება აქ ამ შენს სალოცავში ამულობა ისწავლო, მე პატარაობისას ესწა-

ლობდი ჭიანურს, ჩონგურს, ძალიან მიყვარს, აბა აილე დაუკარ!

მალხაზამ აიღო თარი, მოჰყვა დაკვრასა, რომლისაგან აბდულა დასტკბა და კმაყოფილებით წამოიძახა: იახში! ჩუხ იახში, ოხიირსონ! თან წამოწყო მუთაქაზედ, მალხაზამ აბდულასაგან წაქეზებულმა უმეტეს გაბედა ტკბილის ხმით სიმღერა, აბდულას ასე ესიამოვნა და გამხიარულდა, რომ ხან თითებით ატკაცუნებდა და მრთელის სხეულით ირყეოდა, მომღერალს ბევრი მასალა ლექსები ჰქონდა, მღეროდა ქართულს, ხან თათრულსა, აბდულამ განუმეორა რომ განაგრძელოს საკრავი და თითონ მუთაქაზე თავი დასდო და ისე ყურს უგდებდა, ხან დახუჭდა, ხან გახსნილა თუალთა, ეძინებოდა ძლიერად, იყო დიდ ხანს ძილის ბრძოლაში, მაგრამ დაეცა მას უზომო ძილი, და დაავიწყა ქუსყანა და თავის თავიცა, მალხაზა თუმცა სცნობდა მძინარად მაგრამ, იმისი შიში სიკვდილის ზარსა სცემდა, ამის გამო განაგრძელებდა საკრავს სიმღერას, მაშინ იწყო ცრემლ მორეულმან გაუწყობელის ლექსებით ვედრება. წმინდას დიდს მოწამე ბარბარესთან, რათა დაიხსნას ამისთანა ეშმაპის პირისაგან და მართას თარზედ სიმღერით უთხრა:

ხედამ დედი ვით ვართ მახეს გაბმული,
ჩუსნი ყუსლა იმედი არს წასული,
თუალები აქუს ამ ბგელს მინამ დახმული,

ჩქარა წადი მღუდელს აცნობე ეს თული.

უჩურჩულა მართამ; ამ დროს რა ექნა, რა შემიძლიან?

უთხრა მალხაზამ სიმღერით

ცხენი აუშვ შეჯექ იხმარე ღონე.

დრო არ არის ყოვნებისა კარგა ჩააგონე.

მიირბინე ხუცესთანა ჩქარა გააგონე.

მოირბინოს ვაშაცებით ამას წაართუან ღონე.

გავიდა მართა და მცირე ხანს ისევ შემოვიდა. კოჭლობით უჩურჩულა მალხაზას რომ, იგი ჯდებოდა ცხენზე ჩამოვარდა დაჰკარა ქუას გვერდი, რომელსა ვერღა სძრაეს.

უთხრა მალხაზამ კიდევ სიმღერით, გასწი? გასწი?

მრთლად სიკვდილსა გვერდის ტკენა სჯობია.

ცხენი მშვიდი და ჭკვიანი, ადვილ შესაჯდომია,

მიიყვანე დიდ ქუასთანა, ადვილ მისახდომია

ჩქარა უთხარ მოგვეშველოს, მანამ ძილს ასდგომია,

მართა გავიდა მეორეთ გაბედვით, გამოიყუანა იგივე აბდულას ცხენი, მოეჭიდა უნაგრის თავს და ჩამოვარდა, მერმე კუალად მრავლის ცდით უზანგოში მოიხერკა ფეხის შეყოფა და უნაგირს თავს მოეჭიდა, ავიდა წუალებით, გამაგრდა ზედ და წავიდა მღუდელთან; მაგრამ აი მართამ რა ილაპარაკა: როგორც მხედავთ მე ვარ სნეული, სუსტი, შიშარა და ჩემს დღეში ცხენზე უჯდომელი, იმ მინუტს გადავსდე თავი დაეახლოებიყავ სიკვდილსა ანუ სიცოცხლესა

და ეკლესიაცა დამეხსნა აკლებისაგან, მე ვიყავ გარე მოცულ-
ლი ყოველადის შიშის ზარისაგან რომელსა არღა მესმოდა-
რა, გამოვიყენენ ამდულას ცხენი მგზავსი მფრინავისა, მა-
სთანვე საკვირველი მშვიდა, გამწარებულმა ვერას გზით
ვერას ლონით ვერ შეეიძელ შეჯდომა, ხელით, ფეხით,
კბილთ ეეკიდებოდი ცხენის იარაღსა და ჩამოცურებული
ვეცეოდი ძირს, დაესდუმდი და მომელო ყოველი ლონე,
დავისუსნე და კუალად უკანასკნელ ერთიცა ესცადე.

მაშინ მე ცოდვილმან მოუწოდე მემწედ დიდ მოწამე
ბარბარეს, შეეჭყავ უზანგომი ფეხი და მოვეეჭიდე უნაგირი
თავსა, ამ დროს, თითქო რაღამაც ძლიერმა კელმა ამწია,
ამიტაცა და როგორც მცირე რამ ისე გამასწორა შუა უნა-
გირზე, მოსვენესა მხოლოდ შავის პერანგ კაბითა, შიშითა
და სიცივითა დაბზარულს მარყვედა ქარი აქეთ იქით ცხენი-
დამ გადასგდებლად, უკეთუ პირს გავაღებდი, მყისვე სასტიკი
ქარი გამატენდა თოვლითა, იმ ბნელს კორიანტელიანს ღა-
მეში, როგორც მე ვიყავ გაბრუებული უცნობო, აგრეთვე
ცხენი იყო იმ გზის უმეცარი. ეგრეთვე ლაგმის წვერები არ
მახსოვს უნაგირის თავს კელებ ჩაკიდებულს კელმი როგორ
მამეცა, ცხენმაც დაყენებულმა სწორედ იმა საჭირო გზასა
გასწია თავ და კუდ აღებულმა, ხან აქეთ და ხან იქით
იყურებოდა შეშინებული, თითქო უკან მათრახის ცემით
მოსდევდა ვინმე, ხან ასე გახტებოდა რომ თითქო ხედე-
ბოდა მას მათრახი, ესრეთ მსწრაფლ მიჰფრინდა ზემო ნათ-

ღუხში, ეიხილე რა სახლების ფანჯრების სინათლენი და კაცთ ხმაურობა, მოველ კიდეც ცნობას, ამ სახით მუელ მღუდლის სახლთან.

იყო ღამის მეთერთმეტე საათი, სასტიკი თოელიანი ქარი აბორიალებდა ძლიერად, ამ დროს მღუდელმაც უნებლიეთ გაალო კარი და გამოეელა გარე, იხილა (გაოცებულმა) თეთრი ცხენი მიჰფრინავს პირდაპირ მისკენ იგი მგონებელი რაღაც ჩუსნებისა, მინვე აპირებდა შესელას, მაგრამ უცებ მოესმა ნაცნობი ხმა ჩეჰ: მღუდელო! მღუდელო!!

მღუდელმა გაოკებულმა და ქარისაგან დაბარბაცებულმა, მსწრაფლ გაიმაგრა ფეხი, წვერზე და თუალებზე ჩანოისოკელი და ჩამოიყრეეინა ქარისაგან შეყრილი თოელი, თუან დაკვირებულმან სთქუა ეს თეთრ ცხენიანი: ღმერთო ჩემო, ეს რა მესმის! როგორი ჩუსნებაა! აშკარა, ცხადია?! აჰა მოდის!

მშვდი ცხენიცა დადგა პირის პირ მღუდლისა, ცუალად მეეჰყვირე მღუდელო! ვერ მიცან? მე ვარ მართა!

მღუდელმა განცვიფრების ზარ აღებულმა ხმა ჰყო: ღმერთო ჩემო! ეს რა მესმის? მართა ეგ სწორედ შენახარ? ამ დროს და ამისთანა ცხენზე?

მე გაყინული ჩამოვსცურდი რა ცხენით, უთხარ: ნუ გიკვირს გაჭირვებისა და დროს გამო. უანბე მოკლედ მსწრაფლ, ვითარ ლომი ამ-მწყვეტელი შემოუარდათ საყდარში და აჰა განძეინებული სძინავს, მანამ გაიღვიძებდეს მღუდელო,

დრო ძვირია, აბა ჩქარა! მაგრამ ვაი საბრალო მალხაზ, და გარდმოსცვინდა ცრემლნი კეთილსა ბებერსა.

ამის გამგონებელმა მღუდელმა განცვიფრებულმა, ა შეჰყვარა ძალზე ჯი? შენ დიდო მოწამეო ბარბარე.... შენ ხარ მფარველი ჩემი და შენის მოსახელის ეკლესიისა!! დაუყონებლივ უმსწრაფლეს სხეულით მაგარმა და სულითა მტკიცეს, შემოირტყა ხალათზე სარტყელი, მიმოირბინა ნაოლეკს თავს შეზობელთათანა, რომლისა ხმასა მყისვე დაემორჩილნენ შვდნი იარაღიანნი და კელ ჯოხიანნი მამაკაცნი მსწრაფლს სირბილით განცხადდნენ ხსენებულს ქუჩმოკ ეკლესიაში, იხილეს საბრალო მალხაზ როგორც ლომთან მცირე განაბული ნადირი, უმეტეს შიშით დალეული მჯდომარე უკრეედა და უმღერდა სასიამოვნოდ მძინარის თათარისა, ამათის შესელით გახმიანდა რა შესავალი, აბდულამაც აახუნა თვალთა: ფიე! შეშფოთებულმა დაიძახა და წამოიჭრა ზენე, ამოიძრო ქარქაშით ხორასნის ელჩარე ხმალი. გამაგრდა ერთს კუთხეს და დაიძახა: ვაი იმას, ვინც ახლო მოვა!

ამათ დიდს ხანს ბრძოლაში, ერთი დაიჭრა კიდეც მძიმედ, მაგრამ ვერ დაიმორჩილეს იგი, შემდეგ მღუდელი შეეიდა განრისხებული, უბრძანა და შიუშვირეს გულში თოფები დამბაჩები და ზოგმა აუმაღლეს კეტები და ტეხრა სისხლის მღურელს თათარს, თუ არ გინდა რომ შენი არა წმინდა სისხლი საყდრის წინ დაილუროს, ამისთვს გიბრძანებ შენის ნებით დასცხრე და დასდო ძირს იარაღი, თორემ ამ მინუ-

ტში უბრძანებ და ტყვიები ერთათ იქუხებს შენს გულში!

აბდულამ ხელით ანიშნა რა, რათა აცადონ, მან მიმო იხედა ნახა თავი თვსი თითქო ჯოჯოხეთის ყბაში ჩაეარდნილი, მან ალმოუტეეა ფოლადის მსგავსის გულისაგან თავის საგლოველი მქუხარე ხმა, ოოხ!! ალიასაგან დაწყეველილო და აკრძალულო ღვინო! მუხთალო ძილო! და შენ უმეტეს წყეულო ბრმა აშუდო!

მდგომარეობა სისხლის მღურელის თათრისა იქმნა საშინელ, ჭაბუკი გული მოუდრეკელის ვამკაცობისა მისისა ალეულებდა, კუალად დაფეთებულნი თუალნი მიმოაელნო რა, თითქმის დაუბნელდა თუალთა და მყისვე დამსჭვალა შიმის ზარმა, მასთანავე დაეკარგა გმირული ღონე თვისი, მას ეგონა რომ უკეთუ გაბედდა რასმე წინააღმდეგსა, წამსვე ტყვიები დაფლეთდნენ მას უწყალოდ, ამის გამო იდგა იგი ხლმით მძრწოლარე პირის პირ მასზედ დამიზნებულის თოფების და ტამბაჩების ტუჩებისა.

მაგრამ უმეტეს ყოველის მახვილისა, სიკვდილ შემოსჯლ ტყვიას ვინ არ შეუშინდეს? რაგინგ გმირ და უძლეველი გოლიათი იყოს, ჴერე ამ გუარად გულში დაწკეპილსა, აბდულამ სარულ ჴყო ყოველივე ღონის ძიება ალარ იყო თავის დახსნისა, ხედამდა სიკვდილსა ცხვირთან მიახლოებულსა,, კუალად ამოიკვნესა მწარედ და წარმოსთქა გაშმაგებულმა სალმობიერნი ვაებანი, ცუდ ჩემო ვამკაცობავ! ცუდ ჩემო ნაქებნო იარალნო და ცხენო, რადგან ამისთანა

გაჭირვებაში, ვერ მიხსნით ოხრათ რჩეს ყოველიეე, მერმე ჩუმათ და წყნარათ ხმალი დასდო ძირს, იგინი მყისვე წარსდგნენ წინ ისევ აიღო კელმი და იგინი განმოარღნენ ალრინდელებრ, მერმე კელი მიჰყო თოფს აიხსნა თავსაგან და იგი ემზადებოდა გადაეყარა იარაღი და მიეცა თავიცა თჳსი, მაგრამ რა მათ აბდულა თოფს კელ მოკიდებული იხილეს, შეძრწუნდნენ ყოველნიეე, თითქო ის თოფი იმ მინუტსვე გაქლეტდა მათ, მლუდელი მყისვე გავიდა გარე და თან გაჰყენენ რამდენნიმე მხდალნი, დანარჩენნი ტყუილად ჩემულობდნენ მამაცობასა, იგინიცა მზათ იყვნენ გასაქცევად.

აბდულამ გაკვირვებულმა, თითქო ახლად ძილისაგან გაღვიძებულმა ძლიეს გამოიცნო ნახა რომ, იგი ტყუედებოდა, წინა აღმდეგნი მისნი ვერ ჰბედვენ მსთან ბრძოლას, მით უმეტეს რომ იმათი იარაღები არიან უარგისონი თოფები და ტამბაჩები ჟანგიანნი გაუტენაენი, მამინ აბდულამ ხელახლად შეიკრიფა ძალი თჳსი მოსწია თოფის ჩახმახსა და ასეთის ხმით შეჰკიელა, რომ მიშით დანარჩენნიცა გამოცვიეღნენ გარეთ და საყდრის კარიდგან შორს სიბნელემი გაიფანტნენ.

აბდულამ გაკვირვებულმა ამოისუნთქა თავისუფლად, მასთანავე ჩამოისუა თუალებზე ხელი, მოიწმინდა წუცრი, რომელი წინათ ბრძოლაში სიმწარისა გამო გადორბლიანებულ იყო, ახლა კი უშიშრად წარმოსდგა კარებისკენ გმირულნი ბიჯნი და წარმოს-

თქუა ამ ლორის ხორცის მჭამლებმა კინალამ შემაშინეს და გამბეს მახეში, ოოხ! ალლახ!! ეს რა ცეცხლს მოერჩი? ახლა კი ალარ მეშინიან თუნდა მრთელი გურჯის ტანი დამეხვიოს კარზედ მიიხედ მოიხედა რა, დაიყვირა ცხენი მლუდელო? ჩემი ცხენი მამეცით ჩქარა: ეხლავე ემ წუთში, თორემ ცეცხლს მოგიგრზნებთ, გაიგეთ თუ არა, მე უცხენოთ ვერ წავალ ჩქარა მეთქი! იყო სიბნელე სიჩუმე, მხოლოდ ისმოდა მტკვრის ქშუილი და კორიანტლიანის ქარის ზუზუნი, კიდევ დაიყვირა მლუდელო? [ქემიმ] გეუბნევით ცხენი მეთქი, თორემ შენ და მრთლად შენი სახლი ვერ აუდგება ჩემს არაბულსა ჩქარა მეთქი ჩქარა!

მოესმა მას შორიდამ ხმა რომ, ერთ საათამდინ ჩაბარდება ცხენი.

აბდულა საყდარში მიშით ალარ შესულა, მხოლოდ გარეთი ფულის კრუჩეები დაამტვრია, კმალ ამოღებული კარზედ ვიდოდა და ელოდა მლუდლისაგან ცხენის მიღებას, ანუ კუალად რასმე ხალხის თავს დასხმას, მაგრამ ნახა რომ იმისი ცხენი საცალეზედ შეგდებული მათრახ დაკრული საყდრის კარზე მორბის და მოუბრუნდა ცნობილს პატრონსა, აბდულამ გახარებულმა გადაუსუა თუალებზე და გავაზე კელი ამა სიტყვების წარმოთქმითა, ტალახი დავასხი გაურებს, ერთს კაცს მრთელმა სოფელმა ვერ მიმასპინძლა, გაუსწორა მოსართავი, შეჯდა მშვდად და უცებ გაჰფრინდა.

მართლაბთაც ეს საქმე ნათლუხელებს დაეჩნდათ გულზე დაღათ, რომ ერთის კაცისაგან მიიღეს იმდენთა პირთა შერცხეინა, რომლისა ახსნისათვს ერცელს სალაპარაკოს მოკლედ გამოვესთქუამ.

ის იარაღები, რომელნიც აქა იქა მცირენილა იპოებიან, რომლითა ერნი საქართუბლოსანი მტერზე ძლევას შეიმოსდნენ ხოლმე, ეხლა ის ძველის ძველნი ზოგიერთნი თითქმის ალარ ეარგანან და გარდა ამისა ის თოფები და დამბაჩები პატრონებს ისე უყრიათ ჟანგიანად უხმარად, კიდეც რომ ჰყონ ლონის ძიება, იშოვონ, იყიდონ, ტყვია წამალი, ხმარება ესე იგი, გატენა,გასროლა თითქმის ვეღარ მოუხერხებიათ, თუმცა ტფილისს მცხოვრებთა უმრავლესთა აქუსთ ზოგთა კარგი იარაღიცა ოქროთი ვერცხლითა და სხუა და სხუა ფრად შემკობილნი მაგრამ შემთხვევის დროს როგორ გასძვრენ ჭელს და იხმარებენ იარაღსა, იმისიკი რა მოგახსენოთ, იარაღი აქუსთ გარეგანის მორთულობისათვს და მხოლოდ ჰფიქრობენ მცქ ნებისა და განცხრომისათვს. . . . . .

აქამომდე ხალხნი ხმირ ხშირის ომების გარდა იწვრთებოდნენ კრიეებში რომელი არლა არის, ეინ არ იცის კრიეი და იმისი მნიმენელობა, ის იყო ზნეობითი სწავლა ვაჟკაცობის წრთვნისა და ვარჯისობისა, მრთელი ქალაქის მოკრიეენი თანა სწორ ორად გაყოფილნი მეიკრიფებოდნენ კარგათ გადაღელეულნი და გამართავდნენ ხოლმე, ორნიეე მხარენი ერთმანეთზე დაძგერებულნი ირგელიე საშინელის კეკი-

ნით მაყურებელთათანა უიარაღო ძლიერს ბრძოლასა, აქაცა იცნობებოდა ხოლმე გმირულნი ფალავანნი ძლიერისა და მარჯვეს მუშტებითა, რომელთა ძალის მოსამატებლად აქედამ და იქიდამ ას ოთასობით მიტაევებულნი იქნებოდნენ ღელვასაებრ ბზგავსი ფიცხელის ომისა, გატან-გამოტანა, ზედა დასხმას, მიჯარვა გამომშეტებული მუშტების დაკურა, წაქცევა და ზედა წაქელტა, უკანასკელ გამარჯვება ერთისა მხარისაგან მეორისა და განდევნა მისი საკრიეო ალაგიდამ.

გამარჯვებულნი მხიარულებით მიილებდნენ დიდთა და მცირეთა უმრაველესთა მაყურებელთაგან, ტაშის კურასა და ქებასა, ზოგნი მამაცნი საჩუქარსაცა.

ასე ამა კრიეებში უარჯისობისა გამო, როგორც ჩუენი ხალხის ზოგიერთნი იარაღნი არიან უარგისო ჟანგიანნი, ეგრეთვე იმათი პატრონებიც უხმარად და უარგისოდ ქცეულნი და რასაკვერელია ზემოხსენებულის აბდულ ალიასთანა მცირენი კაცნი დაჰფანტეენ უმრავლესთა უწვრთელთა დაზამებულთა,

იოსებ ელიოზოეი.

მაისის 25-სა დღესა 1866 წელსა.

საქალო გიმნაზია ტფილისში.

ვისაც ყურადღება მიუქცევია ჩუენი ძუელის, ალამაჰ-მადხანის დროს კაცებისათვს; ვისაც ყურადღებით ყური მიუპყრია იმათ საუბარისათვს, იმან კარგათ იცის, თუ რა სასოებით აგონდება ძუელი, დამყაყებული და დაობებული წასრული დრო; და როდესაც მოაგონდებათ იმათათვს ნეტარხსენებული წასრული, ცხადათ შენიშნავს მსმენელი, რომ ტანში მეტას სიამოვნებისაგან ჟრუანტელს ასხავს და სახეზედაც სასიამოვნო ღიმილი გაირბენს ხოლმე, აბა ახლა ჩამოუგდეთ ახალ დროზედ ლაპარაკი; ის მაშინვე წარბებს შეიჭმუხვნის, და თუ აქვ კიდეც, მაშინვე ბუტბუტით თავს მოგარიდებს და ზურგს შემოგაქცევს. — ამის პასუხად, თუ ჰკითხე, მაშინვე გეტყვის, რომ ადრინდელს დროში, სიყუარულიც მეტი იყო, ეაქკაცობაც უფრო, უზრუნველობაც და თუ ინებებთ, იმასაც შეუპოვრად გეტყვით, რომ ჰსწაელაც კი. — მე ქართუელი ვარ, და არა მგონია იყოს

იმისთანა კაცი, რომ თავისი ქუჩყენის და თავისი ხალხის ხსოვნება სძაგდეს, მაშასადამე, ჩუენთჳს ყოველი ნუჩენი ენის ხალხის ღირსება თუ ჰქონიათ რამე, სასიამოვნო უნდა იყოს, მაგრამ კეთილ სჯნდისი გვამხილებს ესთქუათ სიმართლით, რომ წასრული დრო, ისე არის ახლანდელს დროსთან, გამოხატული, როგორც ჩრდილი. აბა რა არის საქმე ბი ადრინდელი დროსი? სხუათა შორის აეიღოთ თუნდა ჰსწაელა. ჯერ ერთი ეს ეიკითხოთ, რამდენი სასწაელებელი გექონდა ქართუსლებს, რას ასწაელიდნენ და რა მიმართულების სწაელა იყო?

ჩუენ არას ეიტყვით იმ დროზედ, რომელს დროზედაც ხშირად ჩუენი ახლანდელი მეისტორიენი, ჩუენნი ზოგნი ერთნი მჩხაბავნი, როდესაც უნდათ როგორმე გამოიყუანონ ჩუენი მამაპაპანი ჰსწაველულად და დაანახონ ქუსყანას, თუ რანი ვყოფილვართ; ესე იგი იმ მეთორმეტე საუკუნეზედ, რომელს საუკუნეშიაც მეფობდა თამარი და რომლის დროს ყმაწკლი კაცები იგზავნებოდნენ საქართუსლოდან საბერძნეთის დედა ქალაქში, სადაცა მეფობდა მაშინ ყოველის თავისის ძალით კლასიკური ლიტერატურა, რადგანც ის დრო დიდი ხანია გაჰქრა და იმ საუკუნის შემდგომს ის დაწყობილობა და ის აღყვაეებული დროებაც დაეცა, სხუა და სხუა პოლიტიკურ შემთხვეევების მიზეზით, — მხოლოდ ეთქუათ იმ დროს სასწაელებლებზედ, რომელნიცა დიდი ხანი არ არის მოგვემალნენ, და რომელთ ხსოვნას

ბევრნი მაშინდელნი კაცნი, ახლაც ცოცხლად მყოფნი მოგვითხრობენ.

ჩუენი, მამა-პაპათაგან სასიქადულო სასწაულებლები იყენენ გამართულნი მონასტრებში, სადაც ასწავლიდნენ საღრმთო წერილსა მხოლოდ და თუ იმყოფებოდა იმ მონასტერში რომელიმე ბერი, რომელსაცა წაეკითხნა საბერძნეთის ფილოსოფია, იმ წიგნსაც მიაჩენდა მოწაფეს ხელში, — იმას კი არ აუხსნიდა, თუ ან რა სიმართლე იდო შიგ, ან რა გაელენა ჰქონიყო თავის დროზედ და სხუა. ერთის სიტყვით, ადრინდელი ჰსწავლის მიმართულება იყო საღრმთო წერილი, არც მეიძლებოდა, რომ ასე არ ყოფილიყო, ამისათვს რომ საღრმთო ხალხნი იყუნენ მასწავლებელნი. აი რა იყო მიზეზი, რომ ხშირად მონასტრები შენდებოდნენ, ხშირად ეკლესიები კეთდებოდნენ და მრთელი ხალხი სულ იმასა ფიქრობდა, საღრმთო რამ საქმე გაეკეთებინა, მამ რა იქნებოდა, რომ აკენითგან ყმაწვილს სულ ის ესმოდა და თუნდა სურვილიც არა ჰქონიყო ამ საგნისა, მაინც ძალით, ან სახრით, ან თაბალით (*) უნდა დაემორჩილებინათ. მოქალაქეური ჰსწავლასათვს მაგდენს არაა ეინა ფიქრობდა; ღუდლებსაცა ჰქონდათ ეკლესიის გალავ-

(*) თაბალი იყო მრგვალი შუაში გასვრეტილი ფიცარი, შეგირდს გულაღმა დააწვენდნენ, ორივე ფეხებს შიგ ფიცრის ნასვრეტში გაუყრიდნენ, მაღლა აუშვერდნენ და ფეხების გულზედ ჯოხითა სცემდნენ. ეკრძალა რომ ეტოკა; მაინც ვერ განძრეულა.

ნებში სასწავლებლები, მაგრამ აქაც ჰსწავლა იმისთანის მიმართულებისა იყო, რა მიმათულებისაც მონასტრებში; ბევრს ფიქრობდნენ სხვა და სხვა ფაკულტეტებზედ — საქიმო ფაკულტეტი ჩუენი, ქატოლიკეთ მისიონერების სენაკებში იყო; ამ მისიონერებს მოჰქონდათ საქიმო სწავლა რომითგან, ამათგანა სწავლობდნენ ზოგნი ერთნი ამ საგნის მოყუარე. ზოგნი ერთნი ქართუსლები და ესენიცა სწამლობდნენ ხალხსა.

საწყალი ჩუენი ქალები, იმათ ხომ ვინ აღირსებდა რიგიანს ჰსწავლასა; ისინი იყუნენ შეკეტილს სახლში, დედის მუხლის ძირაში. და თუ წერა კითხუა იცოდა დედამ, ნემსების ჩხელეტით, მუჯლუგუნით და რამდენ გუარ ცემა ტყეპით უნდა ესწავლებინათ კითხუა და წერა, იმათი ჰსწავლა ამაზედ მაღლა ვეღარ აეიდოდა. — ახლა ერთი ეს უნდა ვთქუათ; შეგირდს, რომელსაცა ამდენი ცემა და ტყება ადგა ყოველ დღე; ისიც ამისათჳს, რომ კითხუა და წერა ესწავლა, იმ შეგირდს მასწავლებელი შეუყვარდებოდა? ხშირად მომხდარა შჳლს დედის მუხლს ქვეშ გაზდილს ცემა და ტყეპაში, ისე შესძულებია მმოებელი, თვალით დანახვაც შეზარებია. ჩუენ აქ დაწერილებით ამაზედ ვეტს აღარას ვიტყვით, რადგაც ამ სტატიის ჰაზრი ის არის, ესთქუათ ორიოდე სიტყუა იმ ქალების გიმნაზიაზედ, რომელიცა გაიხსნა ტფილისში, მისის უმაღლესის დიდის მთავრინა ოლღა თეოდორეს ასულისაგან, და რომლის მფარველობასა ქვეშე

იმყოფება.

ჩუსნ ბევრისგან შეგვეტყო, რომ ამ საქალო გიმნაზიამი სწავლა დიდს წარმატებაში არისო და ყურადღებაც დიდი აქუსთ, იქ დადგენილთ მასწავლებელთაგ, თუმცა რასაკვირველია გეჯეროდა, მაგრამ ახლა სრულებით დაერწმუნდით, როდესაც თვთან ამ სუსტის სტატიის დამწერმა, მივეცი ჩემი ორი პატარა ქალები.

ჯერ ერთი ეს უნდა მოვახსენო მკითხველს, რომ ჩემი ორი ქალი, მინამ სასწავლებელში მიცემდი, თუმცა ბევრჯელ მოვიწვადინე, და დაუჭირე მასწავლებელიც სახლში, მაგრამ ისე მცონარენი იყვნენ, რომ მრთელი ექვესის თვის განმავლობაში, თითქმის ანბანსაც ვერ მიხვდნენ. ბოლოს, მესმოდა რა ქება ამ საქალო გიმნაზიისა, ავიყვანე და მივეცი ორნიენი იქ, წასრულის წლის ნოემბრის დამდეგს, სრულებით უსწავლელნი, ისე, რომ როგორც ზემოთაცა ვთქვი, ანბანიც ვერ იცოდნენ და რუსულის ენის გაგება ხომ სრულებით არა ჰქონდათ, — პურის სახელიც კი არ იცოდნენ.

მეს აქეთ არის სამი თვე, ამ სამის თვის განმავლობაში, ორი კვირა საუფლო დღესასწაულები, კვირა დღეები და ისე უქმეები რომ გამოვრიცხოთ, რჩება ორი თვე, ამ ორის თვის განმავლობაში ისწავლეს კარგათ კითხვა და სწერენ დიკტოვკით, — ამას დავამატოთ ესეცა, რუსული ენა ესმით ისე, რომ შეუძლიანთ გაიგონ საადვილო რამ, ეს პირველი

ლირსება ამ სასწავლებლისა;—მეორე ღირსება და მოწაფეთათვს უმთავრესი ეს, რომ მეტის ხალისით მიდიან და ისე ზრდილობიანათ, ისე ალერსით ექცევიან კლასნის დამები, რომ როდესაც გაუხსენებთ პატარა ქალებს მომხიარულდებიან და სიამოვნების ღიმილი გაურბენთ ხოლმე სახეზედ; შესანიშნი კიდევ ეს არის, მოუთმენლიე მოელიან გათენებას, რომ მალე წავიდნენ სასწავლებელში, და ისე საათი არ გაიელის რამდენჯერმე სიყვარულით არ წამოთქვან თავიანთ კლასნი დამეების სახელები, გვანებულა მამა-პაპურ სწავლას. რამდენიც მოელენ სახლში ეს ზემო აღწერილნი ჩემი ქალები, იმდენი ახალის სწავლით მოდიან და წარმოიდგინეთ მკითხველო, მშობლების აღტაცება, როდესაც პატარა ბაშვებს, ახალათ სასწავლებლითგან, მესამე საათს მოსულთ, მღერიან რუსულს ენაზედ, საგრძნობ ლექსებს, რომელშიაც გამომეტყველებს ვეთილი ზნეობა. ვინ უნდა იყოს იმისთანა მშობელი, რომელმაცა ნახოს თავისი შვილი ასე მალე წარმატებაში, არ შესწიროს გულ მხურვალედ ზენაარს ლოცვა ამ სასწავლებელის დამფუძნებელისთვს და არ მადლობდეს ულრმესის გულით, ყოველთა ამ საქალო გიმნაზიაში მყოფთ მასწავლებელთა, რომელნიცა ასე ერთგულად აღსრულებენ თავიანთ მოვალეობას, გვიწურთნიან და გვისწავლიან ჩინებულად შვლებს, რომელზედაც არის დამყარებული ჩუენი იმედი და ყოველივე ჩუენი სახლის ბედნიერება.

1869 წ. 30 იანვარს.

1869 წლის ცისკარზედ კელის მოამწერთა სია.

ტ ფ ი ლ ი ს ში.

18 თ. ვახტანგ ორბელიანი

თ. ალექსანდრე ბებუთოვი

20 თ. მამუკა ორბელიანი

თ. დავით ციციანოვი

თ. ზაალ ბარათოვი

დიმიტრი ქავთარაძე

თ. ზურაბ ავალოვი

ტფილისის კლუბი

თ. იოსებ თუმანოვი

თ. თადეოზ გურამოვი

გიორგი გასპაროვი

ივანე ბერძენოვი

30. დიმიტრი ბერიევი

პეტრე ბაქრაძე

თ. გრიგოლ დადიანი

ანნა ქარუმიძისა

ანტონ ყორლანოვი

ს უ ხ უ მ ში.

თ. გრიგოლ შარვაშიძე.

ს ტ ა ვ რ ა პ ოლ ში.

შიხეილ ხუდადოვი.

ნ ა ო რ მ ი,

თ. მიხეილ ერის-თაეი.

ზ უ ღ დ ი დ შ ი

თ. კოსტანტინე დადიანი.

ყ ვ ა რ ე ლ შ ი.

40 ალექსანდრე მარჯანოეი

თ ე ლ ა ვ შ ი,

თ. კიაზო ერის-თაეი

თ. სოსიკო ერის-თაეი.

შ უ რ ა შ ი

თ. ლევან მელიქოეი

ვასილი სარაჯოგი

თ. ნიკოლოზ ჭაეჭაეაძე

ს ი ღ ნ ა ხ შ ი,

თ. ზურაბ აბაშიძე.

ქ უ თ ა ი ს შ ი

თ. ირაკლი ლორდქიფანიძე

თ. რაფიელ ერის-თაეი

ანა ბებურიშვლისა.

თ. გიორგი დაეი. ერის-თაეი

50. ბებურა ბებურიშვლი

იოსებ მიქაბერიძე

სენაკ. პრისტ. ქაეთარაძე

პლატონ ჩხეიძე,

გიორგი ღოლობერიძე,

55. თ. დიმიტრი თუმანოეი.

1 8 6 9 წლის

„ცისკრის„ დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრიე, გაგზავნით თუ გაუგზავნელად 8 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიას, ბაკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უშოარჩილესად ითხოვს რედაქცია მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის„ რედაქციაში ტფილისს.

дозволено цензурою марта 15. 1869. რედ. ი. კერესელიძე.